

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 26 “ 12 ----- “ 2014 წელი

ეგზ. № 2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ანგ 61/00

2014 წელი

სარჩევი	
აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
აუდიტის მიდგომა	5
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები	6
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	6
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა	7
აუდიტის დასკვნა	8
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში	9
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	10
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	12
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	12
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ კვვიწაღენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	13
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	13
შენიშვნა-ნაგებობები	14
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	16
სხვა ძირითადი აქტივები	17
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	19
ოფისის ხარჯები	20
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	21
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	22
სხვა მატერიალური მარაგები	23
სესხები	23
წმინდა ღირებულება	24
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	26
არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა	27
სატრანსპორტო საშუალებები	28
ტექნიკური უზუსტობები	28
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	29
აუდიტის დასკვნა	30
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	31
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	52
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	52

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომელიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა, როგორც - სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების¹ შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი², როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

არსებული მდგომარეობა: საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ფინანსური ანგარიშგება არ შეუდგენია. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ბუღალტრული გატარებები ხდებოდა მხოლოდ ბუღალტრული დავთრებით, რადგან ანგარიშგების წარდგენა შესაბამის ორგანოებს არ მოუთხოვია.

გავლენა

- ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური და არაფინანსური აქტივების, მოთხოვნების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

² 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 2 დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

- გამგეობის ზემდგომი ორგანო და სხვა დაინტერესებული მხარეები ვერ ახდენენ წლიური ფინანსური შედეგების განხილვას, შეჯამებას, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარებასა და ანალიზს, რაც უზრუნველყოფს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვა-გამოყენებას, რეზერვების გამოვლენასა და მობილიზებას. ხელმძღვანელობისთვის არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის რეალური ფინანსური სურათი.
- არ ხდება არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა.
- ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების შენახვა არ ხორციელდება დადგენილი წესით და არ ბარდება არქივში.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

კრიტერიუმი: ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულია ანგარიშების გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენის აღრიცხვისთვის. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველია.

არსებული მდგომარეობა: 2014 წლის 5 თებერვალს, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მიერ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან ამოღებულია 2012 წლის შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (35 წიგნი).
2. ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი (2 წიგნი).

3. საბუღალტრო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია (23 წიგნი).
4. ბანკის ამონაწერები და მემორიალური ორდერები (12 წიგნი).
5. მიმდინარე ანგარიშებისა და ანგარიშსწორების დავთარი (14 წიგნი).
6. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (16 წიგნი).
7. სოციალური პაკეტების დაფინანსებისა და აღნიშნული პაკეტებით გაცემული პროდუქტებისა და ნივთების მიღება-ჩაბარების აქტები (16 წიგნი).

გავლენა

- საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღების გამო, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოების შეფასება შეუძლებელია.
- მასშტაბის შეზღუდვის მიზეზით, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ზოგადად საბუღალტრო გატარებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

აუდიტის დასკვნა


მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება, ხოლო შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაცია ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რის გამოც მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფარისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა, რის გამოც გამოთქვამს უარს დასკვნის გაცემაზე.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი³ თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 32 395,1 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 27 187,6 ათასი ლარი (83,9%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერს. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერი 14 902,0 ათასი ლარია, მიზნობრივი ტრანსფერი - 280,0 ათასი ლარი, ხოლო ფონდებიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 12 005,6 ათასი ლარი.




დიაგრამა 1: 2013 წლის შემოსულობები

დიაგრამა 2: 2013 წლის ტრანსფერები

³ 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 2 დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 32 226,2 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 17 067,5 ათას ლარს (53,0 %) შეადგენს ხარჯები, 12 587,2 ათასი ლარი (39,1%) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 2 571,5 ათასი ლარი - ვალდებულებების კლებას.



დიაგრამა 3: 2013 წლის ხარჯების კლასიფიკაცია

2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქუჩების მოასფალტების სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

მუნიციპალიტეტი იყენებს ბუღალტრულ პროგრამას, რომელიც წარმოდგენილია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოდულების სახით და სხვადასხვა კომპიუტერებშია ჩატვირთული. პასუხისმგებელი პირები პერსონალურად ანხორციელებენ

ბუღალტრულ ოპერაციებს ვალდებულების აღებიდან საბოლოო ბუღალტრული გატარებების ჩათვლით, რაც კრებსით შემაჯამებელ უწყისებში აისახება. სხვა შესაძლებლობებთან ერთად, პროგრამას გააჩნია ორგანიზაციის ბალანსისა და ბალანსის დანართი ფორმების ავტომატური შევსების ფუნქცია.

პროგრამის მუშაობის პრინციპის გაცნობით, აუდიტის ჯგუფი მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტი ვერ ახდენს პროგრამის შესაძლებლობების სრულად გამოყენებას. კერძოდ, პროგრამა დატვირთულია საბიუჯეტო კლასიფიკაციისათვის დამახასიათებელი მუხლობრივი აღრიცხვებით და არ ხდება ბუღალტრული ანგარიშებისათვის დამახასიათებელი გატარებები. ფინანსური ანგარიშების ფორმები ძირითადად შეუვსებელია, ხოლო ძირითადი აქტივების აღრიცხვა და მოძრაობა აისახება მექანიკურად, excel-ის პროგრამის მეშვეობით.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა სათანადო რწმუნება რომელიმე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის ან ჯგუფის მიერ საბუღალტრო პროგრამის სათანადო კონტროლის შესახებ, რაც გამორიცხავდა არსებით უზუსტობებს.

ცალკეული სტრუქტურული ერთეულების არაკოორდინირებული მუშაობის გამო, საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც საჭიროებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვას. მუნიციპალიტეტი არ ამზადებს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და არ აძლევს დოკუმენტის ფორმას. საფინანსო სამსახურმა ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე

კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;

- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა;
- ✓ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების მოძრაობა;
- ✓ ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაცია.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები ძირითადად მიღებულია როგორც სარწმუნო.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: საბანკო ამონაწერის შესაბამისად, 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 2 301,6 ათასი ლარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) ნაჩვენებია მუხლში - „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“.

ნაცვლად სახაზინო ანგარიშისა, ნაშთი უნდა ასახულიყო №1210 ანგარიშზე, „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“, გაზრდილია 2 301,6 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება: 2014 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციის შესაბამისად, წინა წლებში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის სახით მიუღებელია 16,3 ათასი ლარი.

აღნიშნული მონაცემები მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“, შემცირებულია 16,3 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

მოთხოვნები წინასწარი გადახდებით

გარემოება: მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამის სესხის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებულია საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტები (გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია, კანალიზაციის სისტემები, ნარჩენების კონტეინერები) გრძელვადიანი დაფინანსების ფორმით. სესხის მომსახურებაზე 2013 წელს გადახდილია 840,7 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხის სახით ანაზღაურებულია 399,2 ათასი ლარი, პროცენტის სახით - 441,5 ათასი ლარი. სესხის მომსახურების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა 2013 წელს წინასწარ ჩარიცხა 0,2 ათასი ლარი და გადაიხადა ჯარიმა - 0,08 ათასი ლარის ოდენობით⁴. საავანსო და საჯარიმო თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ არის.

⁴ მგფ-სა და მუნიციპალიტეტს შორის 2013 წლის 31 დეკემბრის შედარების აქტი.

აქტივების მისაღებად ავანსად გაცემული სახსრები უნდა აღრიცხულიყო მუხლში „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“⁵, ხოლო საჯარიმო თანხა უნდა გატარებულიყო „სხვა ხარჯების“ მუხლში, ფულადი სახსრების შესაბამის ანგარიშთან კორესპონდენციით⁶.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, არ არის წარმოდგენილი 0,2 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 0,8 ათასი ლარით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

შენიშვნა-ნაგებობები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების „შენიშვნა-ნაგებობების“ მუხლი წარმოდგენილია 20 403,3 ათასი ლარით. აქედან ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 6782,2 ათას ლარს, შესყიდვებით წარმოქმნილი აქტივების ღირებულება - 2 364,9 ათას ლარს, ხოლო სხვა მიღებები - 11 256,2 ათას ლარს.

შესყიდვებით წარმოქმნილი აქტივების ღირებულება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად (ცვეთის გარეშე), ფაქტობრივად შეადგენს არა 2 364,9 ათას ლარს, არამედ 10 370,2 ათას ლარს⁷. კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მიერ შევსებული არაფინანსური აქტივების ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, „შენიშვნა-ნაგებობების“ მუხლით,

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 37.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 12.

⁷ 10 370,2=9799,5+49,6+100,5+420,6.

ნაცვლად 11 281,1 ათასი ლარისა⁸, გატარებული უნდა იყოს 9 799,5 ათასი ლარის შესყიდვით მიღებული არაფინანსური აქტივები. დანარჩენი თანხებიდან 2,3 ათასი ლარი უნდა აღრიცხულიყო „სხვა მატერიალური მარაგების“⁹, 144,9 ათასი ლარი - „სხვა ხარჯების“¹⁰, 70,1 ათასი ლარი - „სოციალური დახმარების“ და 1 264,3 ათასი ლარი - „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“¹¹ მუხლებით; სარეზერვო ფონდიდან გაწეული ასიგნებებიდან, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში არასწორად გატარებულია 49,6 ათასი ლარის ხარჯები, რომელიც „ძირითად აქტივებს“, კერძოდ, „შენობა-ნაგებობებს“ წარმოადგენს¹². „საქონელი და მომსახურების“ მუხლით შესყიდულია 100,5 ათასი ლარის საერთო ღირებულების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება/პროექტირების მომსახურება¹³, რომელიც „ძირითად აქტივებს“, კერძოდ, „შენობა-ნაგებობებს“ მიეკუთვნება. მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამის სესხის ფარგლებში, ძირითად აქტივებზე არაა დამატებული სესხით სარგებლობის 2013 წლის თანხა - 420,6 ათასი ლარი, რომელიც უნდა დამატებოდა აქტივის ღირებულებას და აღრიცხულიყო „შენობა-ნაგებობების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი (ცვეთის გარეშე) შემცირებულია 8 005,3 ათასი ლარით, ხოლო „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი - 2,3 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების

⁸ სუბსიდირებული ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების გარდა.

⁹ ხელშეკრულება №159.

¹⁰ ხელშეკრულებები №№243,287,322,343,352,425,427,435,444,467,468,469.

¹¹ ხელშეკრულებები №№308,309,364,370,375,414,432,439,449,474,478.

¹² საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები №№206,464; გამგებლის დავალება №546; ხელშეკრულებები: №№278,473,481.

¹³ ხელშეკრულებები №№158, 171, 182, 231, 256; გამგებლის დავალებები №№571,572.

მიღება-გასვლის შესახებ“, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი შემცირებულია 1 264,3 ათასი ლარით.

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 150,1 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“, 144,9 ათასი ლარით - „სხვა ხარჯების“, 70,1 ათასი ლარით - „სოციალური დახმარების“ მუხლები, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არაზუსტად გატარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების მუხლში - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, ასახულია 6 257,5 ათასი ლარი. აქედან ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 5 454,7 ათას ლარს, სხვა მიღებები - 36,4 ათას ლარს, ხოლო შესყიდულია 766,4 ათასი ლარის აქტივები.

შესყიდვებით მიღებული აქტივების ღირებულება (ცვეთის გარეშე), წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივად შეადგენს არა 766,4 ათას ლარს, არამედ 776,4 ათას ლარს¹⁴. კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლით გატარებულია 709,2 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები. მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვის 7 ხელშეკრულების¹⁵ შესაბამისად, „ოფისის

¹⁴ 776,4=709,2+27,8+39,4.

¹⁵ ხელშეკრულებები №№20, 29, 76, 110, 213, 258, 282.

ხარჯების“ მუხლით აღრიცხა 27,8 ათასი ლარის საერთო ღირებულების ისეთი აქტივები (კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, ტელეფონის აპარატები და გამაგრებელი მოწყობილობა), რომლებიც „ძირითად აქტივებს“ წარმოადგენს; შეძენილი სახანძრო მანქანის¹⁶ სესხის მომსახურებაზე პროცენტის სახით გადახდილია 18,5 ათასი ლარი, ხოლო მგფ-ის ფონდის დაფინანსებით ნარჩენების კონტეინერების შესყიდვაზე - 20,9 ათასი ლარი. ორივე სესხით სარგებლობის ჯამური თანხა 39,4 ათასი ლარი უნდა აღრიცხულიყო „ძირითადი აქტივების“ მიღების მუხლში და შესაბამისად, გაზრდილიყო აქტივის ღირებულება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ცვეთის გარეშე) შემცირებულია 10,0 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 27,8 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არაზუსტად გატარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

სხვა ძირითადი აქტივები

გარემოება: მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მიხედვით, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი 338,8 ათასი ლარია. მათ

¹⁶ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1177, 1.06.2011.

შორის, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 257,4 ათას ლარს, შესყიდვებით წარმოქმნილი აქტივების ღირებულება - 81,4 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბუღალტრული გატარებების (არაფინანსური აქტივები) ჩამოილ ფორმებში - „სხვა ძირითადი აქტივები“, ნაჩვენები არ არის. რეალურად ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მუხლით უნდა აღრიცხულიყო 271,4 ათასი ლარი¹⁷, რადგან „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით შესყიდულია 14,0 ათასი ლარის ღირებულების ისეთი აქტივი, კერძოდ, ბუღალტრული პროგრამა¹⁸, რომელიც „არამატერიალურ ძირითად აქტივს“ წარმოადგენს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი (ცვეთის გარეშე) გაზრდილია 67,4 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 14,0 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არაზუსტად გატარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

¹⁷ 271,4=257,4+14,0

¹⁸ ხელშეკრულება №23.

ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საცნობარო მუხლის ცვლილება ნაჩვენები არ არის, წლის დასაწყისსა და ბოლოს წარმოდგენილია ერთიადიმავე თანხით - 157,8 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად შესყიდულია 41,8 ათასი ლარის ღირებულების საქონელი¹⁹ (ძირითადად, საოფისე ტექნიკა-ინვენტარი), რომელიც უნდა გატარებულიყო „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლში, როგორც 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი²⁰.

ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლის მოძრაობა ასევე არ ფიქსირდება. ხარჯი არასწორად მიკუთვნებულია „ოფისის“ მუხლს, თუმცა ექვემდებარებოდა ხარჯებში ჩამოწერას და ფინანსურ ანგარიშგების (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) შესაბამის საცნობარო მუხლში ასახვას.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საცნობარო მუხლი არასწორია.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლში არ არის ასახული 41,8 ათასი ლარი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით

¹⁹ ხელშეკრულებები №№29, 51, 53, 59, 64, 76, 104, 110, 136, 144, 176, 229, 282, 284, 332, 450, 480.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“: მუხლი 2, პუნქტი „ღ“.

გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

ოფისის ხარჯები

გარემოება №1: მუნიციპალიტეტის მიერ „ოფისის ხარჯების“ მუხლში აღრიცხულია ტრანსპორტის დაქირავებისა და მგზავრთა გადაზიდვის ხარჯები 9,5 ათასი ლარის ოდენობით²¹, რომელიც ექვემდებარებოდა „ტრანსპორტის“ მუხლით გატარებას. კერძოდ, სატრანსპორტო მომსახურება შესყიდულია ქალაქის სხვადასხვა საჯარო სკოლების მე-12 კლასელთათვის შემეცნებით-გასართობი ექსკურსიის მოწყობასთან დაკავშირებით.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 9,5 ათასი ლარით გაზრდილია „ოფისის ხარჯების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები“.

გარემოება №2: სუვენირებისა და ბარათების შეძენის ხარჯები²², 2,1 ათასი ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტის მიერ გატარებულია „ოფისის ხარჯების“ მუხლში, რაც არასწორია. ხარჯები უნდა აღრიცხულიყო „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 2,1 ათასი ლარით გაზრდილია „ოფისის ხარჯების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია მუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

²¹ ხელშეკრულება №140.

²² ხელშეკრულებები №№19, 60 488, 489.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება №1: ორგანიზაციების მიერ გაწეული ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხარჯები ექვემდებარება „ოფისის ხარჯების“ მუხლით აღრიცხვას. მუნიციპალიტეტის მიერ ამ მიზნით დახარჯული 11,1 ათასი ლარი²³ არასწორადაა გატარებული „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 11,1 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია „ოფისის ხარჯების“ მუხლი.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის 22 ხელშეკრულების²⁴ თანახმად, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში აღრიცხულია ტრანსპორტის დაქირავებისა და მგზავრთა გადაზიდვის ხარჯები 63,8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გატარებულიყო „ტრანსპორტის“ მუხლით. ასევე არასწორადაა მიკუთვნებული აღნიშნულ მუხლს სარეზერვო ფონდიდან ტრანსპორტის დაქირავებისათვის გამოყოფილი 2,7 ათასი ლარი²⁵.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 66,5 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ მუხლი.

გარემოება №3: მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის 12 ხელშეკრულების²⁶ თანახმად, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში აღრიცხულია

²³ ხელშეკრულებები №№2, 310.

²⁴ ხელშეკრულებები №№50, 86,91,98,105,111,121,124,125,140,141,142,146,161,164,250,261,323,324,426,443,475.

²⁵ ხელშეკრულება №270; გამგებლის დავალება №307.

²⁶ ხელშეკრულებები №№67,68,73,74,118,154,156,160,195,196,247,248.

სხვადასხვა წვეულებების მოწყობისა და სასტუმროს მომსახურების ხარჯები 27,6 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გატარებულიყო „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით. აგრეთვე, არასწორადაა მიკუთვნებული აღნიშნულ მუხლს სასტუმროს მომსახურების ღირებულება 0,9 ათასი ლარი²⁷, რომელიც სარეზერვო ფონდიდან გამოიყო.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 28,5 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლი.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: საბალანსო ანგარიშზე - „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“, აისახება სხვადასხვა სახის გრძელვადიანი სესხები და კრედიტები, რომელთა დაფარვით მოსალოდნელია ორგანიზაციიდან ფულადი რესურსების გადინება²⁸.

2014 წლის 1-ლი იანვრის მდომარეობით, მუნიციპალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ დარჩენილი გადასახდელი თანხა სულ 3 423,9 ათასი ლარია. აღნიშნული ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) - „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 3 423,9 ათასი ლარით.

²⁷ გამგებლის დავალება №428.

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 43-44.

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება №1: სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავები და სხვადასხვა სამშენებლო მასალები ღირებულებით 74,5 ათასი ლარი, რომელიც არასწორადაა გატარებული „საქონელი და მომსახურების“ მუხლით²⁹. აქტივი უნდა აღრიცხულიყო „სხვა მატერიალური მარაგების“ (ნედლეული და მასალები) მუხლში.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 74,5 ათასი ლარით შემცირებულია „ნედლეული და მასალების“ მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, იმავე თანხით გაზრდილია მუხლი „საქონელი და მომსახურება“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

სესხები

გარემოება: ბალანსის დანართ ფორმა №2-2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, მუხლში - „სესხები“ ასახულია 2 571,5 ათასი ლარი. მათ შორის, 1 311,7 ათასი ლარი წარმოადგენს 2012 წელს წარმოშობილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რომელთა განაღდება მოხდა 2013 წელს, ხოლო 111,2 ათასი ლარი - 2012 წელს ფონდებიდან გამოყოფილი თანხის აუთვისებელი ნაწილია³⁰. აღნიშნული გატარებები არასწორია, რადგან თავისი არსით არ წარმოადგენს სესხთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური

²⁹ გამგებლის დავალებები №№253,254,343,397,438,526,563,590,591,603,621.

³⁰ არ მიეკუთვნება დაუმთავრებელ ძირითად აქტივებს.

აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „სესხების“ მუხლი გაზრდილია 1 429,9 ათასი ლარით.

წმინდა ღირებულება

გარემოება №1: ფინანსურ ანგარიშგებაში „წმინდა ღირებულების“ მუხლი და ბალანსის დანართ ფორმა №3-ის შესაბამისი ნაშთი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ანგარიშგებაში ეს რიცხვი მექანიკურად აღებულია ბალანსის „აქტივების“ ტოლი სიდიდით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ შესაბამისი მაჩვენებელი განსხვავებული სიდიდეებია.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) ბალანსის აქტივებისა და პასივების ტოლობა მიღწეულია ხელოვნურად და არა ბუღალტრული გატარებების სიზუსტით.

გარემოება №2: ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, არ არის შევსებული „სადებეტო ბრუნვისა“ და „ჯამის“ პუნქტები. შესაბამისი მაჩვენებელი - 20 139,9 ათასი ლარი ასახულია გრაფაში „ნაშთი პერიოდის ბოლოს“ (დებეტი).

გავლენა

